

შპს “ფალავანი“-ს

საწყისი ფინანსური ანგარიშგება და განმარტებები

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

სარჩევი

საწყისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3-4
საწყისი სრული შემოსავლისა და კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება	5-6
საწყისი ფულადი ნაკადების ანგარიშგება	7
საწყისი ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	8-16

საწყისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2019-2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით

აქტივები	შენიშვნები	31-12-21	31-12-20	31-12-19
ფული და ფულის ეკვივალენტები	5	408,783	416,869	710,203
სავაჭრო მოთხოვნები	6	2,488,873	2,266,789	2,026,461
გადახდილი ავანსები		-	-	-
მარაგები	7	3,817,530	3,462,174	3,040,245
მზა პროდუქცია		137,134	212,249	52,795
სხვა		3,680,396	3,249,925	2,987,450
საინვესტიციო ქონება		-	-	-
სხვა მიმდინარე აქტივები	8	175,212	448,416	582,276
ბიოლოგიური აქტივები		-	-	-
თვითღირებულების მოდელით		-	-	-
გადაფასების მოდელით		-	-	-
გუდვილი		-	-	-
სხვა არამატერიალური აქტივები	9	4,131	4,201	4,271
ძირითადი საშუალებები	9	2,306,560	2,354,345	1,184,030
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში		-	-	-
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში		-	-	-
სხვა გრძელვადიანი აქტივები		-	-	-
სულ აქტივები		9,201,089	8,952,794	7,547,486

ვალდებულებები

ფინანსური იჯარის ვალდებულება		-	-	-
სავაჭრო ვალდებულებები	10	600,738	879,182	1,935,984
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები		-	-	-
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		-	4,980	15,315
საგადასახადო ვალდებულებები		-	-	-
გამოუმუშავებელი შემოსავალი		-	-	-
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	11	5,287,937	4,354,917	3,668,974
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები		-	-	-
მიღებული გრანტები		-	-	-
სხვა ვალდებულებები	12	1,394,710	1,947,008	1,587,252
სულ ვალდებულებები		7,283,385	7,186,087	7,207,525
საკუთარი კაპიტალი				
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	13	75,814	75,814	75,814
საემისიო შემოსავალი		-	-	-
გამოსყიდული საკუთარი აქციები		-	-	-
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი		1,841,890	1,690,893	264,147
გადაფასების რეზერვი		-	-	-
სხვა რეზერვები		-	-	-
სულ საკუთარი კაპიტალი		1,917,704	1,766,707	339,961
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		9,201,089	8,952,794	7,547,486

საწყისი სრული შემოსავლისა და კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება

2020-2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნები	2021 წელი	2020 წელი
ნეტო ამონაგები		6,907,952	8,422,544
საქონლის გაყიდვიდან	3	6,538,405	7,868,759
მომსახურების გაწევიდან	3	278,339	245,092
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან		-	-
სხვა		91,208	308,693
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(3,371,917)	(4,823,854)
საწყისი მარაგები		-	(3,040,245)
მარაგების შესყიდვა		-	(5,245,783)
გადამუშავების დანახარჯები		-	-
საბოლოო მარაგები		-	3,462,174
საერთო მოგება		3,536,035	3,598,690
სხვა შემოსავალი		-	-
დასაქმებულთა ანაზღაურება (-)		(1,255,319)	(747,419)
ცვეთა და ამორტიზაცია (-)		(314,057)	(201,476)
საპროცენტო შემოსავალი		43,636	20,791
საპროცენტო ხარჯი (-)		(444,568)	(362,753)
იჯარის ხარჯი (-)		(91,667)	(88,763)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი (-)	4	(1,150,831)	(672,375)
სულ საოპერაციო ხარჯები		(3,212,806)	(2,051,994)
საოპერაციო მოგება		323,229	1,546,696

გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:

ფინანსური აქტივები (-)	-	-
მარაგები (-)	-	-
სხვა არაფინანსური აქტივები (-)	-	-
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან	(188,884)	(128,902)
მიღებული დივიდენდები	-	-
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	16,072	8,952
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	150,417	1,426,746
მოგების გადასახადი (-)	-	-
მოგება/(ზარალი)	150,417	1,426,746
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალების (მათ შორის ბიოლოგიური აქტივის) გადაფასების რეზერვი	-	-
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)	-	-
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ	-	-
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	150,417	1,426,746
 საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	 1,766,707	 339,961
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	-	-
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-	-
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	580	-
კაპიტალის სხვა ცვლილებები	-	-
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1,917,704	1,766,707

საწყისი ფულადი ნაკადების ანგარიშგება
2020-2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით

	2021 წელი	2020 წელი
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(1,017,313)	553,519
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	266,203	(1,371,721)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	933,020	685,943
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	181,910	(132,259)
სავალუტო კურსის ეფექტი	(189,996)	(161,075)
 ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	 416,869	 710,203
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	408,783	416,869

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ფალავანი“ (ს/ნ 217886562) (შემდგომში „კომპანია“) რეგისტრირებულია 1996 წლის 21 სექტემბერს. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, გორი, შინდის გზატ. №19. და საქმიანობის ძირითადი ადგილი არის საქართველო, ახმეტა, სოფ ქისტაური .

შპს „ფალავანი“-ს მესაკუთრეები არიან: 1) მერი ქიბროწაშვილი (პ/ნ 65002000200) - 40%; 2) ირაკლი კოტეტიშვილი (პ/ნ 01024002965) – 35%; 3) შპს „გრადნ გურმე“ (ს/ნ 7842509000, რუსეთის ფედერაცია) – 25%. კომპანიის დირექტორი არის გიორგი ფოჩხიძე (პ/ნ 01024010625). კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის ღვინის წარმოება ყურძნისაგან.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში - ლარში.

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. ამონაგების მისი შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით საქართველოს საგადასახადო კოდექსით (სკს) გათვალისწინებული რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

მოგების გადასახადი

სკს-ს მიხედვით საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება.

მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, რომელიც დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. იმ შემთხვევაში თუ დივიდენდები განაწილებულია 2008-2016 წლებში დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებიდან, მაშინ მოგების გადასახადის ვალდებულება საწარმოს არ წარმოეშება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშობათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. კომპანიის აქციონერებისთვის დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადი საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ეკონომიკურ საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება და სხვა). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და გაცხადდება, როგორც სხვა გადასახადები მოგება-ზარალის ანგარიშგების სხვა არასაოპერაციო ხარჯებში.

აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლე და გრძელვადიანად

კომპანია აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მოკლე და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე.

აქტივი მოკლევადიანია, როდესაც:

- ▶ მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ▶ ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- ▶ მოსალოდნელია მისი რეალიზება ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- ▶ აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში ანგარიშგების პერიოდის შემდეგ.

ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მოკლევადიანია, როდესაც:

- ▶ მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ▶ ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- ▶ დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- ▶ ანგარიშგების პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება არ არსებობს.

ყველა დანარჩენ ვალდებულებას კომპანია „გრძელვადიანის“ კატეგორიას მიაკუთვნებს.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები (პროცენტი):

ძირითადი საშუალებების დასახელება	სასარგებლო გამოყენების ვადა
შენობა-ნაგებობები	5%
მანქანა-დანადგარები	20%
სატრანსპორტო საშუალებები	20%
ოფისის აღჭურვილობა და ინვენტარი	20%
არამატერიალური აქტივები	4%

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა ან აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

იჯარა

იმის განსაზღვრა, შეთანხმება წარმოადგენს (ან შეიცავს) თუ არა იჯარას, ხდება იჯარის დასაწყისში, შეთანხმების არსიდან გამომდინარე. შეთანხმება წარმოადგენს ან მოიცავს იჯარას, თუ მისი შესრულება დამოკიდებულია გარკვეული აქტივის (ან აქტივების) გამოყენებაზე და შეთანხმება ასახავს აქტივის (ან აქტივების) გამოყენების უფლებას მაშინაც კი, თუ ეს აქტივი (ან აქტივები) მკაფიოდ არ არის მითითებული შეთანხმებაში.

კომპანია, როგორც მოიჯარე

აქტივის კლასიფიცირება ხდება იჯარის საწყისი თარიღით ფინანსურ ან საოპერაციო იჯარად.

იჯარა, რომელიც გადასცემს საკუთრებასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს კომპანიას, კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად.

საოპერაციო იჯარა არის ისეთი ტიპის იჯარა, რომელიც არ შეიძლება ჩაითვალოს ფინანსურ იჯარად. საოპერაციო იჯარის გადასახდელების აღიარება ხდება საოპერაციო ხარჯად სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით.

კომპანია, როგორც მეიჯარე

იჯარას, რომლის დროსაც კომპანია არ გადასცემს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და სარგებელს, საოპერაციო იჯარად კლასიფიცირდება. საიჯარო ქირის აღიარება ხდება შემოსავლის სახით იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მისი მიღება.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება ბანკში ფულის ნაშთისგან.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული საქართველოს ბანკის ეროვნული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

3. ამონაგები

	<u>2021 წელი</u>	<u>2020 წელი</u>
	ლარი	ლარი
შემოსავალი მზა-პროდუქციის მიწოდებიდან	6,538,405	7,868,759
შემოსავალი საწარმოო მასალების მიწოდებიდან	-	-
შემოსავალი ჩამოსხმისა და შეფუთვის მომსახურებიდან	272,720	234,188
შემოსავალი საიჯარო მომსახურებიდან	5,619	10,904
შემოსავალი სუბსიდიიდან	91,208	308,693
	<u>6,907,952</u>	<u>8,422,544</u>

4. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები

	<u>2021 წელი</u> ლარი	<u>2020 წელი</u> ლარი
მიმდინარე რემონტის ხარჯი	-	317
საწვავის ხარჯი	54,375	32,664
ნიმუშების ლაბორატორიული კვლევის ხარჯი	-	2,320
ნიმუშების გაგზავნის ხარჯი	1,304	332
რეკლამის ხარჯი	64,407	122,034
ტრანსპორტირების ხარჯი	88,454	17,347
საგადასახადო ხარჯი	27,046	34,668
კომუნიკაციის ხარჯი	1,945	2,446
წარმომადგენლობითი ხარჯი	10,949	-
დასუფთავების ხარჯი	3,876	3,876
ძირითადი საშუალებების	18,576	10,871
საექსპლუატაციო ხარჯი		
მივლინების ხარჯი	283	-
შეფუთვისა და ჩამოსხმის	382,009	253,941
მომსახურებასთან დაკავშირ. ხარჯები		
ბუნებრივი აირის ხარჯი	3,590	2,968
ელ. ენერგიის ხარჯი	57,676	24,987
საოფისე ხარჯი	1,149	3,291
საკანცელარიო ხარჯი	2,320	1,609
საბაჟო-სატერმინალო მომსახურების ხარჯები	100	-
სამეურნეო ხარჯი	25,573	8,511
იურიდიული მომსახურების ხარჯი	2,548	1,866
ბანკის მომსახურების ხარჯი	10,360	12,345
დეფუსტაციის სერთიფიკატების ხარჯი	25,096	1,507
საპენსიო შენატანის ხარჯი	25,007	18,643
ღვინის ანალიზის ხარჯი	13,227	16,000
საკონსულტაციო მომსახურების ხარჯი	7,373	6,356
დიზაინერული მომსახურების ხარჯი	33,657	26,367
საგადასახადო ჯარიმებისა და საურავების ხარჯი	47,472	6
სხვადასხვა მომსახურების ხარჯი	62,073	52,225
ქველმოქმედების ხარჯი	-	10,000
არარეზიდენტის მომსახურების ხარჯი	22,779	-
სადაზღვევო ხარჯი	22,463	-
სმფ-ის დანაკლისი	119,112	-
სხვა ხარჯი	16,032	4,878
	1,150,831	672,375

5. ფული და ფულის ეკვივალენტები

	<u>2021 წელი</u>	<u>2020 წელი</u>	<u>2019 წელი</u>
	ლარი	ლარი	ლარი
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	418	4,598	462,289
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	101,731	2,316	11,689
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	306,634	409,954	236,225
	408,783	416,869	710,203

6. სავაჭრო მოთხოვნები

	<u>2021 წელი</u>	<u>2020 წელი</u>	<u>2019 წელი</u>
	ლარი	ლარი	ლარი
მოთხოვნები რეზიდენტი საწარმოების მიმართ	925,223	1,200,252	954,476
მოთხოვნები არარეზიდენტი საწარმოების მიმართ	1,563,650	1,066,537	1,071,985
	2,488,873	2,266,789	2,026,461

7. მარაგები

	<u>2021 წელი</u>	<u>2020 წელი</u>	<u>2019 წელი</u>
	ლარი	ლარი	ლარი
მზა-პროდუქცია	137,134	212,249	52,795
დაუმთავრებელი წარმოება	3,162,499	2,827,939	2,459,991
ნედლეული	4,619	7,220	4,987
მასალები	510,713	412,234	519,955
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგები	2,564	2,532	2,517
	3,817,529	3,462,174	3,040,245

8. სხვა მიმდინარე აქტივები

	<u>2021 წელი</u>	<u>2020 წელი</u>	<u>2019 წელი</u>
	ლარი	ლარი	ლარი
მოთხოვნები ანგარიშვალდ. პირის მიმართ	450	1,871	160,337
საგადასახადო აქტივები	83,657	386,590	382,708
სხვა მიმდინარე აქტივები	91,105	59,955	39,231
	175,212	448,416	582,276

9. სავაჭრო ვალდებულებები

		<u>2021 წელი</u>	<u>2020 წელი</u>	<u>2019 წელი</u>
		ლარი	ლარი	ლარი
ვალდებულებები	საქონლის	594,080	814,421	1,805,291
მოწოდებიდან				
ვალდებულებები	მომსახურების	6,658	64,761	130,693
მოწოდებიდან				
		<u>600,738</u>	<u>879,182</u>	<u>1,935,984</u>

10. სხვა ვალდებულებები

	<u>2021 წელი</u>	<u>2020 წელი</u>	<u>2019 წელი</u>
	ლარი	ლარი	ლარი
საპროცენტო ვალდებულებები	1,391,164	1,946,443	1,582,911
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	3,546	565	4,341
	<u>1,394,710</u>	<u>1,947,008</u>	<u>1,587,252</u>

11. საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი 2021 წლის 31 დეკემბრის და 01 იანვრისთვის შეადგენდა 75,814 ლარს და მას სრულად ფლობენ დამფუძნებლები.

12. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2022 წლის 25 ივლისს.

შპს „ფალავანი“-ს

დირექტორი: გიორგი ფოჩხიძე /

9. სავაჭრო ვალდებულებები

		<u>2021 წელი</u>	<u>2020 წელი</u>	<u>2019 წელი</u>
		ლარი	ლარი	ლარი
ვალდებულებები	საქონლის	594,080	814,421	1,805,291
მოწოდებიდან				
ვალდებულებები	მომსახურების	6,658	64,761	130,693
მოწოდებიდან				
		<u>600,738</u>	<u>879,182</u>	<u>1,935,984</u>

10. სხვა ვალდებულებები

	<u>2021 წელი</u>	<u>2020 წელი</u>	<u>2019 წელი</u>
	ლარი	ლარი	ლარი
საპროცენტო ვალდებულებები	1,391,164	1,946,443	1,582,911
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	3,546	565	4,341
	<u>1,394,710</u>	<u>1,947,008</u>	<u>1,587,252</u>

11. საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი 2021 წლის 31 დეკემბრის და 01 იანვრისთვის შეადგენდა 75,814 ლარს და მას სრულად ფლობენ დამფუძნებლები.

12. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2022 წლის 25 ივლისს.

შპს „ფალავანი“-ს

დირექტორი: გიორგი ფოჩხიძე

